

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ.თბილისი

29/მარტი/ 2019 წელი

ერთი მხრივ „საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია“ (ს/ნ 204885124) წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის ზურაბ კაკაბაძის (პ/ნ01024022011) (შემდგომში - ფედერაცია) მიერ და მეორე მხრივ შპს ჯი ემ ეს (ს/ნ 405305245) წარმოდგენილი მისი დირექტრის თინათინ ჯანაშვილის (პ/ნ 11001005245) მიერ (შემდგომში- ლიცენზიატი) ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით ფედერაცია გადაცემს ლიცენზიატს უფლებას, გამოიყენოს ფედერაციის მიერ განხორციელებული ქალთა და ვაჟთა ჩამპიონატების როგორც ეროვნული ასევე საერთაშორისო მატჩების ვიდეოები, რომელიც არის მის საკუთრებაში, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით, ჰონორარის გადახდის გარეშე.
- 1.2 ფედერაცია, ლიცენზიატს გადასცემს ვიდეოს მრავალჯერადად გამოყენებისა და განთავსების განსაკუთრებული ლიცენზიას, რაც გულისხმობს იმას, რომ მხოლოდ ლიცენზიატს აქვს უფლება გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული ვიდეოები და აუკრძალოს ვიდეოების ამგვარი გამოყენება სხვა პირებს.

2. ხელშეკრულების საგნის გამოყენების პირობები

ლიცენზიატს უფლება აქვს წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული ვიდეო-ჩანაწერები განათავსოს ეთერში (მათ შორის საკაბელო ტელევიზიების მეშვეობით); ინტერნეტ სივრცეში myvideo.ge-ს მეშვეობით და სხვა ისეთი საშუალებებით, რაც აუცილებელი იქნება მხარეთა მიზნის მისაღწევად.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 3.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან;
- 3.2 ხელშეკრულების მოქმედებს 2019 წლის 30 მარტიდან - 2019 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით;

4. სალიცენზიო ხელშეკრულების მოქმედების ტერიტორია

წინამდებარე სალიცენზიო ხელშეკრულება მოქმედებს საქართველოს ფარგლებში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

- 5.1 ფედერაცია იძლევა გარანტიას და ადასტურებს, რომ ის წარმოადგენს ხელშეკრულების საგნის ავტორს;

- 5.2 ლიცენზიატი ვალდებულია ხელშეკრულების საგნის გამოყენებისას მიუთითოს ფედერაციის სახელი და საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, ასევე, ფედერაციის ლოგო;
- 5.3 ლიცენზიატი უფლებამოსილია ფედერაციის წერილობითი თანხმობის გარეშე შეუზღუდავად გამოიყენოს ხელშეკრულების საგანი მთლიანად ან ფრაგმენტულად ნებისმიერი ტექსტის თანხლებით, სხვა ფოტოებთან ან ვიდეოებთან ერთად;
- შენიშვნა: ლიცენზიატს ეკრძალება ხელშეკრულების საგნის მთლიანი ან ფრაგმენტული ნაწილის გამოყენება, სხვისი პატივისა და ღირსების შელახვის, ასევე რაიმე ფორმით დისკრიმინაციისა ან/და დისკრედიტაციის მიზნით;
- 5.4 ლიცენზიატი უფლებამოსილია გაავრცელოს, საჯაროდ აჩვენოს ან საჯარო გადასცეს ხელშეკრულების საგანი, მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით;
- 5.5 ლიცენზიატს არ შეუძლია ხელშეკრულების საგნის სუბლიცენზირება;
- 5.6 ხელშეკრულების საგნის კომერციული გამოყენების შემთხვევაში ფედერაცია უარს ამბობს ჰონორარის შეგროვების უფლებაზე;

6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავათა გადაწყვეტა

- 6.1 მხარეების კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი;
- 6.2 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა მხარეთა შორის უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მეშვეობით.

7. ფორს-მაჟორი

- 7.1 თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული გარემოების) ან მეორე მხარის ბრალის შედეგად;
- 7.2 დაუძლეველ ძალად მიიჩნევა ისეთი ფაქტის ან გარემოების არსებობა, რის გამოც ხელშეკრულების მხარე მისგან დამოუკიდებელი მზიეზების გამო ვერ არსრულებს დაკისრებულ მოვალეობას, კერძოდ:
- ხანძარი, წყალდიდობა და სხვა სტიქიური უბედურება
 - სამოქალაქო ომი, აჯანყება, სამხედრო მოქმედება

7.3 მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების აღმოფხვრის შემდეგ;
7.4 მხარეები ვალდებული არიან ფორს-მაჟორული გარემოების დადგომისას 2 დღის ვადაში შეატყობინონ მეორე მხარეს წერილობით.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა
8.1 ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებით შესაძლოა შეწყდეს ნებისმიერ დროს;
8.2 ვედერაციას უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს, თუ ლიცენზიატი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს;

9. დასკვნითი დებულებები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
9.2 ლიცენზიის გადაცემასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.3 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 10. მხარეთა ხელმოწერები

საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია:
ს/კ204885124

მის: საქართველო, ქ. თბილისი, ი. ჯავახიშვილის გამზირი, 49 ა
პრეზიდენტი



_____ ბურჯაბ კახიანი

შპს ჯი ემ სი
ს/კ405305245

მის: საქართველო, ქ. თბილისი, გ. შიშოძის ქ. N13-13ა ბინა 28
დირექტორი


